საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ზოოლოგიური მომსახურების

(CPV 77400000) სახელმწიფო შესყიდვა
სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგანტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე

2015 წელი

1. ტექნიკური დავალება

1.1 შესყიდვის ობიექტი: ცხოველთა სამყაროს ობიექტების (ტბებისა და წყალსაცავების თევზების და მაკროუხერხემლოების) ბიომრავალფეროვნების შეფასება-ინვენტარიზაცია (საბაზო კვლევის) ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) რაც ითვალისწიებს შემდეგს:

ა) შერჩეული ტბებისა და წყალსაცავების თევზების, ასევე მაკროუხერხემლოების ბიომრავალფეროვნების შეფასება–ინვენტარიზაცია;

ბ) აღნიშნულ წყალსატევებში აბორიგენული, მათ შორის ენდემების, რელიქტების, ბიოკონსერვაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვნი სახეობების (საქართველოს „წითელ ნუსხაში“, IUCN-ის წითელ ნუსხაში, სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებების/კონვენციების დანართებში შეტანილი სახეობები), ინტროდუცირებული და ინვაზირებული სახეობების იდენტიფიცირება;

გ)აღნიშნული წყალსატევების ბიომრავალფეროვნების რაოდენობრივი შეფასება (თევზების არსებული მარაგების განსაზღვრა) და ეკოლოგიური კლასიფიკაცია;

დ) რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნული წყალსატევების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, აღდგენისა და გონივრული მართვის კუთხით;

ე)კარასის/კარჩხანას (*Carassius carassius*) სტატუსის შეფასება, ზუსტი ტაქსონომიური იდენტიფიცირება და მისი ელიმინაციის ღონისძიებები;

ვ)იმ წყალსატევების იდენტიფიცირება, რომლებშიც შესაძლებელი იქნება აკვაკულტურის განვითარება;

ზ)წყალსატევების ინტერაქტიური მონაცემთა ბაზის და რუკების მომზადება, მათი სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით.

თ)ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, საუზო მართვის გეგმების შემუშავების ხელშწყობის მიზნით.

ი)შესწავლილ წყალსატევებში თევზის დაავადებების გამოვლენა და ამ დაავადებების აღმოფხვრისათვის რეკომენდაციების მომზადება.

1.2. კვლევას დაქვემდებარებული სამიზნე ობიექტები:

კვლევას უნდა დაექვემდებაროს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე წინასწარ შერჩეულ და გარემოსა და ბუნებრივი რსურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებულ, 50 ზედაპირულ წყალსატევს (ტბასა და წყალსაცავს) და მასში არსებულ ბიომრავალფეროვნებას.

1.3. კვლევის მეთოდები:

კველვა შესწავლისას უნდა განხორციელდეს, როგორც კამერალური (არსებული ლიტერატურის ანალიზი), ასევე საველე კვლევები და მასალის ლაბორატორიული დამუშავება.

1.4. კვლევის შედეგად მოსამზადებელი ინფორმაცია:

კვლევის შედეგები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, სადაც ასახული იქნება შემდეგი მონაცემები:

1. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დაზუსტებული მონაცემები საქართველოს ტბებსა და წყალსაცავებში გავრცელებული თევზების და მაკროუხერხემლოების ბიომრავალფეროვნების შესახებ, მათი სახეობრივი და რაოდენობრივი შეფასება ინვენტარიზაცია და ეკოლოგიური კლასიფიკაცია; აბორიგენული, მათ შორის ენდემების, რელიქტების, ბიოკონსერვაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვნი სახეობების (საქართველოს „წითელ ნუსხაში“, IUCN-ის წითელ ნუსხაში, სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებების/კონვენციების დანართებში შეტანილი სახეობები), ინტროდუცირებული და ინვაზირებული სახეობების იდენტიფიცირება; კარასის/კარჩხანას (*Carassius carassius*) სტატუსის შეფასება, ზუსტი ტაქსონომიური იდენტიფიცირება და მისი ელიმინაციის ღონისძიებები; იმ წყალსატევების იდენტიფიცირება, რომლებშიც შესაძლებელი იქნება აკვაკულტურის განვითარება; რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნული წყალსატევების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, აღდგენისა და გონივრული მართვის კუთხით, ასევე წყალსატევების ინტერაქტიური მონაცემთა ბაზის და რუკების მომზადება და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, საუზო მართვის გეგმების შემუშავების ხელშწყობის მიზნით; შესწავლილ წყალსატევებში თევზის დაავადებების გამოვლენა და ამ დაავადებების აღმოფხვრისათვის რეკომენდაციების მომზადება.

2. დაფინანსების წყარო – 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ,,ცხოველთა სამყაროს ობიექტის მონიტორინგი“ პროგრამის დაფინანსების ფარგლებში.ორგ.კოდი 380104.

3. სავარაუდო ღირებულება - შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 70000 (სამოცდაათი ათასი) ლარს;

4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1 აღრიცხვის/შესწავლის საბოლოო მასალები და დასკვნა წერილობითი ფორმით (მათ შორის ელექტრონული სახითაც) წარმოდგენილი უნდა იყოს 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის პერიოდში წარუდგინოს შემსყიდველს ანგარიშები მიმდინარე კვლევების შესახებ.

5. აუცილებელი პირობა:

5.1 პრეტენდენტს მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა ქონდეს განხორციელებული ანალოგიური მომსახურება

შენიშვნა: ანალოგიურ გამოცდილებად ჩაითვლება ნებისმიერი სახის ზოოლოგოიური მომსახურება/კვლევა

5.2 პრეტენდენტს (მის თანამშრომლებს/დაქირავებლ პირებს) რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომსახურების განხორციელებაში უნდა გააჩნდეს გამოცდილება მსგავსი კვლევების ჩატარების კუთხით.

6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის ა-ბ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე:

6.1 შემოთავაზებული ფასი მოიცავს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით).

6.22 ანგარიშსწოება განხორციელედება შემდეგნაირად:

ა) ანგარიშსწორება განხორცილდება წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) წესით;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულბის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ავანსის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 100 %-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

გ) ავანსის გარანტიის წარდგენიდან 5 სამუშაო დღეში შემსყიდველი ავანსის სახით სრულად გადაუხდის მიწოდებელს გასაწევი მომსახუების ხელშეკრულებით გათვალისწიენბულ ღირებულებას;

დ) იმ შემთხვევაში თუკი მომსახურების გაწევის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ავანსის სახით გადახდილი თანხა აღემატება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნდან ხუთ სამუშაო დღეში დააბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა (სხვაობა ავანსის სახით გადახდილ თანხასა და ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას შორის) შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

6.3 გაწეული მომსახურების დადასტურების მიზნით მომსახურების გაწევისათვის დადგენილ ვადაში მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა მიაწოდოს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტები, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი და გამოწეროს საგადასახადო ანგარიშფაქტურა (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში).

7. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტები დანართი 1-ის შესაბამისად.

ბ) ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;

დ) ინფორმაცია (CV) იმ თანამშრომელეთა/დაქირავებლ პირთა შესახებ რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომსახურების განხორციელებაში.

8. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

9. გამომდინარე იქედან, რომ გასაწევი მომსახურების ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია კვლევაში მონაწილე ფიზიკური პირების (სპეციალისტების) ფიზიკურ და ინტელექტუალურ რესურსზე პრეტენდენტების მიერ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 20%-ით ან მეტით დაბალი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ იქნება მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია

(ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. ტენდერში გამოყენებული არ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

12. **დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისგან:** სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ლელა შარვაძე, მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6, ტელ: +995 32 2-72-72-59; ელ.ფოსტა: *tender@moe.gov.ge*

13. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა:

ტენდერისთვის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოითხოვოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N (პროექტი)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი ---------- წელი

ერთის მხრივ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ---------- სახით და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ———— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში ----------

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ————————ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაკავშირებულ "მიმწოდებლის" ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორება ხორციელდება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველზე, ხელშეკრუელბის ღირებულების 100 % ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს არანაკლებ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.3. თითოეული მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ----------

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. **”შემსყიდველი” ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ”მიმწოდებლის” მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, ”მიმწოდებელს” გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. ”მიმწოდებელი” უფლებამოსილია მოსთხოვოს ”შემსყიდველს” მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. **”მიმწოდებელი” ვალდებულია:**

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ”შემსყიდველის” მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს ”მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ”მიმწოდებელს” საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი” ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, ”შემსყიდველი” იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ”მიმწოდებელს” ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების 2015 წლის ..... და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

დანართი N1

რეკვიზიტები

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული ფოსტა:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტი ----------